



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მოშაირე

მოშაირე – ლექსის, მთხზველი, მთქმელი, იგივე მელექსე („მოშაირე, არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად“ – შოთა რუსთაველი). **მ.** მონაწილეობდა სალხინო თავყრილობებში (ხატობა-დღეობები, ქორწილები, ღამისთევა, საღმრთო), ასევე ინდივიდუალური წვეულებებში საღალაობო თავშესაქცევი ლექსების სათქმელად, ხალხის გასამხიარულებლად. **მ.** საკრავის (ჩონგური, ფანდური) თანხლებითაც ამღერებდა შაირს. შაირობა ხშირად შეჯიბრის, „შეჭიდების“ ფორმას იღებდა. ერთ-ერთი წამოიწყებდა და ერთ მოსწრებულ სტრიქონს იტყოდა, მეორე ორი სტრიქონით უპასუხებდა, ისე რომ, პირველის ნათქვამთან შეერთმა. ასე გრძელდებოდა, სანამ ერთ-ერთი სიტყვას არ მოუჭირდა. წყენა სირცხვილად, მიიჩნეოდა. დამარცხებული გამარჯვებულს გადაეხვეოდა და მიულოცავდა. ხალხს მოწონდა მოსწრებული ნათქვამი. **მ.** დასცინოდა სოც. მანკიერებებს – უქნარობას, ავკაცობას, ლაჩრობას, ბაქიობას და სხვა. **მ.**-ის ლექსის შიშით ცუდის გაკეთებას ერიდებოდნენ, რადგან ამ სამარცხვინო ამბავს **მ.** გალექსავდა და ის ქვეყანას მოედებოდა – იტყოდნენ: „სალექსოდ (სამარცხვინოდ) არ გამიხადო საქმეო“ (ხალხ.). **მ.** საკუთარ მანკიერებებსაც დასცინოდა. გამორჩეულ **მ.**-ებს სამეფო კარზეც იწვევდნენ ღვინის დროს. **მ.**-ობა ერთ-ერთი „ზნეობა“ – ღირსეული საქმე იყო საქართველოში.

ლიტ.: იო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი , კალმასობა ტ. I. ტფ., 1936;
კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი ვ. ქართული ხალხური პოეზია, თბ; 1961; შ ა ნ ი ძ ე ა.,
ქართული ხალხური პოეზია I (ხევსურული). ტფ., 1931.
